საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი
(2016 წლის იანვარ-ნოემბერი)

2016 წლის 19 ოქტომბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - ზურაბ პატარაძე. იგი გაეცნო არქივის თანამშრომლებს, საარქივო სამმართველოში დანერგილ სიახლეებსა და ინოვაციურ წამოწყებებს, დაათვალიერა საარქივო სამმართველოში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ესაუბრა არქივისტებს საარქივი დარგის შემდგომი განვითარების, სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობასა და გაძლიერებული ყურადღების აუცილებლობაზე.

ღირსსახსოვარი დღეების აღნიშვნა

2016 წლის 4 მარტს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში გაიმართა **დედის, ქალთა დღისა და არქივისტთა** პროფესიული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ: ავთანდილ ბერიძე - აჭარის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რამაზ სურმანიძე, პროფესორი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, ამირან კახიძე, პროფესორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი.

საღამო გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. მოხსენება - ,,არქივისტთა პროფესიული დღესასწაულის ისტორიისათვის" გააკეთა საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსმა მაია რურუამ.

დედის, ქალთა და არქივისტის დღე მიულოცეს და მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ავთანდილ ბერიძე, ამირან კახიძე, რამაზ სურმანიძე და თამაზ ფუტკარაძე.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიმართა არქივისტთა დაჯილდოების ცერემონიალი. საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა წლის საუკეთესო არქივისტის საპატიო სიგელი გადასცა არქივისტ **ნაზი ნაგერვაძეს,** ხოლო წლის საუკეთესო ფონდის მცველის საპატიო სიგელი გადაეცა **ცირა თავართქილაძეს.** საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ არქივისტები: **იამზე ზოიძე, ეთერ ნათელაძე, ნინო შავაძე, ინგა პატარიძე, ჟუჟუნა ტაკიძე, ნათია ბერიძე, მედეა გორგილაძე, ნატო ქიქავა, მზია სურმანიძე, ამირან გაგუა, ნატო ჟვანია, ნინო მარდალეიშვილი, ჯილდა ვერულიძე, ირმა ჭყოიძე, მარინა ბოლქვაძე, ნარგიზ გვარიშვილი, მზია კეკიეიშვილი, შორენა ფარტენაძე, შორენა ბაჯელიძე, მარინა გოგიტიძე, თინათინ ქონიაძე, მზექალა გირიხიდი, მადონა ცხადაძე, ავთანდილ ლეონიძე, მაია რურუა, ავთანდილ ჩახვაძე, ქეთევან მიქელაძე.**

საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 50, 55, 60 და 65 წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე: მურმან ბერიძე, მარინა კუცია, მზია ჯღარკავა, დოდო შუშანიძე, ნათია კუტალაძე, ზურაბ დარჩიძე, ნინო გოგიტიძე და გუგული პატარიძე.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა არქივისტებს: ნინო გოგიტიძეს, მზია სურმანიძეს, ეთერ ნათელაძეს, ელგუჯა ჩაგანავას.

დასასრულს, ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს ფოტოგამოფენა **,,ხელოვნება და კულტურა აჭარაში (1921-2015 წწ.).**

* * *

9 აპრილის ცრემლთან

9 აპრილს, საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ღონისძიების მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს მემორიალი ,, 9 აპრილის ცრემლი,, და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

* * *

თამარობა 2016

2016 წლის 17-18 მაისს, აჭარის საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებში-ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს არქივებში,- ჩატარდა წმინდა თამარ მეფის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

საჯარო ლექციები თამარ მეფის ეპოქის საქართველის შესახებ წაიკითხეს ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ციური ქათამაძემ, ირაკლი ბარამიძემ და საარქივი სამმართველოს განყოფილების უფროსმა, პრო-

ფესორმა თამაზ ფუტკარაძემ. ღონისძიებებს ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტების გამგეობების, საკრებულოების, რესურსცენტრების თანამშრომლები, საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. ღონისძიების დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო სურათები.

* * *

26 მაისი - დღესასწაული არქივში

2016 წლის 25 მაისს საარქივო სამმართველოში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

დამსწრე საზოგადოებას 26 მაისი მიულოცა და ღონისძიება გახსნა საარქივო სამმართველოს უფროსმა, ქალბატონმა მაია ივანიშვილმა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ბატონმა ირაკლი ბარამიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელშიც კარგად აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული პერიპეტიები.

აღნიშნული დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აგრეთვე საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსმა ელგუჯა გოგიბერიძემ, საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილების უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღსანიშნავად ასევე მოეწყო საარქივო სამმართველოში დაცული ფოტო და წერილობითი დოკუმენტების გამოფენა,

ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი და მუსიკალური ნომერი- აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლასთან არსებულ ბავშთა ვოკალურ ანსაბლ „ ჰანგების“ შესრულებით.

* * *

იუნკრების მემორიალთან

2016 წლი 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იუნკრების საფლავი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან შეკრებილმა საზოგადოებამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები, მათი ღვაწლი და თავდადება გაიხსენა.